ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7641670

ნომერი: AR11102409

თარიღი : 29.07.2025

გაცემის თარიღი : 25.09.2025

გაცნობის თარიღი : 25.09.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

წარმოდგენილია 2025 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული სს „თელასის“ წერილი, რომელიც მითითებული ინფორმაციის მიხედვით ხემოწერილია - ტექნიკური დირექტორის მამუკა ქობალიას მიერ, მაგრამ არც ერთი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი დასტურად იმისა, რომ ზემოხსენებულ პირს ნამდვილად ხელეწიფება სს „თელასის“ სახელით ხელი მოაწეროს მსგავსი შინაარსის თანხმობებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ 2025 წლის 04 სექტემბრის მდგომარეობით მომზადებულ, სარეგისტრაციო ნომრით B25125259 სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად მითითებული არ არის მამუკა ქობალია.

წარმოდგენილია 2025 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებული სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ №50084738 წერილი, რომელიც არ წარმოადგენს ცალსახა-საბოლოო თანხმობას ვინაიდან და რადგანაც საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს 2025 წლის 04 აგვისტოს №7577260 ბრძანებით განცხადებელს

დაევალა, რომ სხვა დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად წარმოედგინა - „სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „სუბურბან ლისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405304228) უფლებამოსილი წარმომადგენლის ლევან სიხარულიძის (პირადი N01024024502) მიერ NAR11102409 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა“, რის პასუხადაც 2025 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებულ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ №50084738 წერილში სხვა დანარჩენთან ერთად პირდაპირაა მითითებული შემდეგი: „მისაღებია მუშა პროექტში მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებები, სპეციფიკაციები და ითანხმებს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა, საპროექტო დოკუმენტაციის საბოლოოდ შესათანხმებლად, ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად, განსახორციელებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ბრძანება №7577260-ის შესაბამისად, წარმოდეგენილ იქნეს, დაინტერესებული მხარეების (ადმინისტრაციული ორგანოების) შეთანხმებების წერილები“, რაც წარმოადგენს შეცდომას ვინაიდან და რადგანაც ჯერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ყოველგვარი დათქმის გარეშე გაცემული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე ყველა სხვა სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტთან ერთად და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. გარდა ზემოხსენებულისა, 2025 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებული სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ №50084738 წერილი არ არის ხელმოწერილ-დამოწმებული სათანადო წესით და არც ერთი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი არაა წარმოდგენილი დასტურად იმისა, რომ განვითარების მენეჯერად დაფიქსირებულ დავით ხარშილაძეს ნამდვილად ხელეწიფება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სახელით ხელი მოაწეროს მსგავსი შინაარსის თანხმობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
-განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად მოთხოვნილი ზუსტი ტრაექტორია;
-წარმოსადგენია სარეკონსტრუქციოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
-2025 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ სს „თელასის“ წერილზე ხელმომწერი ტექნიკური დირექტორის მამუკა ქობალიას უფლებამოსილების დამადასტურებელი - სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ ზემოხსენებულ პირს ნამდვილად ხელეწიფება სს „თელასის“ სახელით ხელი მოაწეროს მსგავსი შინაარსის თანხმობებს.
-სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული ცალსახად ყოველგვარი დათქმის გარეშე გაცემული საბოლოო თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „სუბურბან ლისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405304228) უფლებამოსილი წარმომადგენლის ლევან სიხარულიძის (პირადი N01024024502) მიერ NAR11102409 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ

ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.